

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N8

ქ. ლანჩხუთი

17 მაისი. 2013 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე – ზვიად აფხაზავა.

სხდომას ეწვებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „მომავლის ლანჩხუთის“ თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული ლანჩხუთის“ თავმჯდომარე, მარინე თურნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, მაკა კვიციანი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, გელა ქურიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გია ორაგველიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, გოჩა ჯანაშია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ილო გვარჯალაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, მერაბ წილოსანი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე პაატა ფირცხლაიშვილი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ნინო ძიძიგური, თანაშემწე, დონარა დოლიძე, საკრებულოს აპარატის საოქმო და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი, მათა კვიციანი.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, ზაზა ურუშაძე, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ზენაიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი შოთა ჩაგუნავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, როლანდ ლაშხია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების

სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, მაია აფხაზავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, ირმა მგელაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, სოფიკო ჩხაიძე, მედიის წარმომადგენლები.

დღის წესრიგის პროექტის პირველ საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ დააყენა წინადადება საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, როლანდ ლაშხიას ნაცვლად, მომხსენებლად განისაზღვროს გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, ვახტანგ ზენაიშვილი.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს სოციალიურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, გოჩა ჯანაშიამ დააყენა წინადადება დღის წესრიგს დაემატოს შემდეგი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის 29 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი ცვლილების გათვალისწინებით

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 10 დეკემბრის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 7 სექტემბრის N83 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი მ. აფხაზავა/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო - სამაშველო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტიდან სპორტისა და ახალგაზრდულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 29 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის 29 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ“

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ი. მგელაძე/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის სპორტისა და ახალგაზრდულ ღონისძიებათა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ს. ჩხაიძე/

11. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით დეპუტატების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით.

მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის პირველ საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 10 დეკემბრის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგებლის მოადგილის მოავლეობის შემსრულებელმა, ვახტანგ ზენაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 04/04/2013 წლის N311 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის გამოიყო საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვისათვის 60 000 ლარი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, რომელიც უნდა აისახოს, როგორც შემოსავლის, ისე ხარჯვით ნაწილში. მაგრამ ამ განკარგულებაში შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის N380 განკარგულებით და მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის გამოიყო 69100 ლარი, შესაბამისად აღნიშნული თანხა უნდა აისახოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში როგორც შემოსავლის, ისე ხარჯვით ნაწილში.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტით მიზანშეწონილია შემცირდეს გურიის რეგიონალური განვითარების სააგენტოს დაფინანსება 10000 ლარით, შემცირების ხარჯზე გაიზარდოს მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი შეჭირვებული ოჯახების დახმარების პროგრამა 4200 ლარით და 4500 ლარი მიიმართოს გამგეობის ოფისის აუცილებელი მიმდინარე რემონტის დაფინანსებისათვის, ხოლო 1300 ლარი აჯანყებული გურულის ძეგლის მონტაჟის ხარჯების დასაფინანსებლად. ამასთან შემცირდეს გამგეობის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ფონდი 3 360 ლარით და მიიმართოს საკრებულოს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე. მანვე აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 2 მაისის N\390 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 443 980 ლარი შუხუთი-აცანა-მამათის გზის რეაბილიტაციის

თანადაფინანსებისათვის, რომელიც უნდა აისახოს 2013 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის როგორც შემოსავლის, ისე ხარჯვით ნაწილში.

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, პაატა ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე. სადაც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ახლადშექმნილი ფრაქციების საჭირო ინვენტარითა და ოთახებით უზრუნველყოფა, რასაც ოფიციალურად მოითხოვენ ფრაქციის თავმჯდომარეები, ასევე შ.პ.ს. „ლანჩუთის სერვისის“ დირექტორის მიერ დაყენებულ საკითხზე თანხების მოძიება, რომელიც ეხება მწყობრიდან გამოსული ავტობუსების შეკეთებას.

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ, ზავიად აფხაზავამ განმარტა, რომ დადებითად უნდა გადაწყდეს საკითხი საკრებულოს ახლადშექმნილი ფრაქციების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ. რაც შეეხება შპს „ლანჩუთი სერვისის“ ხელმძღვანელის მიერ დაყენებულ საკითხს მწყობრიდან გამოსული 2 ავტობუსის შეკეთების შესახებ თანხის 1295 ლარის დამატებით გამოყოფის თაობაზე, მიზანშეწონილია გამგეობამ განიხილოს აღნიშნული ორგანიზაციის შემდგომი ფუქციონირების საკითხი და წარმოადგინოს წინადადებები შემდგომი განხილვისათვის.

ახლადშექმნილი ფრაქციების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტან ზენაიშვილმა აღნიშნა, რომ მ/წ ბიუჯეტში ვეტერანთა მომსახურეობის ხარჯების 6760 ლარით და აუდიტის მომსახურეობის ხარჯების 1140 ლარით შემცირების ხარჯზე გათვალისწინებულია 7900 ლარი.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით დეპუტატების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ზავიად აფხაზავამ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი. დეპუტატი მაკა კვირკველია სხდომას არ ესწრებოდა.

მიღებულ იქნა დადგენილება N28 (17.05.2013 წელი).

დღის წესრიგის მეორე საკითხზე „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 7 სექტემბრის N83 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, მანა აფხაზავამ. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომაზე დაკმაყოფილებული იქნა ფრაქციების ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით 7900 ლარის გამოყოფის საკითხი. შესაბამისად აღნიშნული თანხა ფრაქციების მოთხოვნის შესაბამისად ასახული იქნება შესყიდვების გეგმაში.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიმართ დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N55 (17. 05.2013 წელი).

დღის წესრიგის მესამე საკითხზე „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო - სამაშველო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის მოვალეობის შემსრულებელმა, შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტში გათვალისწინებულია ყველა ის შენიშვნა, რაც ასახულია სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნაში. კერძოდ, არ არის შეტანილი ცვლილება სამსახურის განყოფილებების დასახელებაში და იგი წარმოდგენილია პირვანდელი სახით. ასევე მან განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის წარმოდგენილი სახით მიღების შემთხვევაში, იგი გაიგზავნება შინაგან საქმეთა სამინისტროში სათანადო რეკომენდაციების მიზნით და ცვლილებების შემთხვევაში საჭირო გახდება აღნიშნული დადგენილების გადახედვა.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ილო გვარჯალაძემ სხდომას გააცნო კომისიის დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ კომისიამ არ მიიჩნია არგუმენტირებულად დასაბუთებულად სახანძრო-სამაშველო სამსახურში შემავალი განყოფილებების სახელწოდებების შეცვლის აუცილებლობა, ამდენად არ დაუჭირა მხარი დადგენილების პროექტს და მოითხოვა განყოფილებებისათვის ძველი სახელწოდებების დატოვება.

დეპუტატმა ლევან ჩხაიძემ დადებითად შეაფასა სახანძრო-სამაშველო სამსახურის საქმიანობა და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ იგი ემსახურება ცენტრალურ მაგისტრალს, სამსახური არ არის უზრუნველყოფილი ინვენტარით, დაბალია მოსამსახურეთა ხელფასები. აღნიშნულის გათვალისწინებით დაუშვებელია ლანჩუთის სამაშველო სამსახურის მოსამსახურეთა ხელფასების გათანაბრება ჩოხატაურის შესაბამის სამსახურთან.

დეპუტატ ლევან ჩხაიძის მიერ დაყენებულ საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ აღნიშნა, რომ აუცილებელია გაუმჯობესდეს სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და გადაიხედოს შემდგომისათვის მოსამსახურეთა ხელფასები, რასაც მხარი დაუჭირეს საკრებულოს წევრებმა.

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით დეპუტატების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა

სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N29 (17. 05.2013 წელი).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის მოვალეობის შემსრულებელმა, შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან გაუქმდა ზედამხედველობის სამსახური და იგი ჩამოყალიბდა შიდა აუდიტის სამსახურში განყოფილების სახით, ამდენად ძალადაკარგულია ზედამხედველობის სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმები. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმისწარმოების დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცებას.

დადგენილების პროექტი საკრებულოს დეპუტატების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N30 (17. 05.2013 წელი).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტიდან სპორტისა და ახალგაზრდულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ გამგეობაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებებიდან გამომდინარე შეიქმნა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, რის გამოც უნდა დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტიდან სპორტისა და ახალგაზრდულ ღონისძიებათა დაფინანსების წესი, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

დადგენილების პროექტი საკრებულოს დეპუტატების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N31 (17. 05.2013 წელი).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ გამგეობაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებებიდან გამომდინარე შეიქმნა სოციალური დაცვის სამსახური, სადაც ჩამოყალიბდა ვეტერანთა საქმეების განყოფილება, სახეცვლილება განიცადა სოც. დახმარების პროგრამებმაც. აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა შევიდეს ცვლილება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

დადგენილების პროექტი საკრებულოს დეპუტატების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N32 (17.05.2013 წელი).

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 29 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ გამგეობაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებებიდან გამომდინარე გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ბაზაზე შეიქმნა გამგეობის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური და განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის სამსახური. ამდენად უნდა დამტკიცდეს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესი, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

დადგენილების პროექტი საკრებულოს დეპუტატების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N33 (17.05.2013 წელი).

დღის წესრიგის მერვე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის 29 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული „ მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი შეჭირვებული ოჯახების დახმარების პროგრამას“ დაემატოს 42000 ლარი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება არა მხოლოდ შეჭირვებული ოჯახების გადაუდებელი შემთხვევისათვის ერთჯერადი დახმარება, არამედ ავარიულ მდგომარეობაში არსებული სახლების მოწესრიგებისათვის გარკვეული თანხით დახმარებაც. რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

განკარგულების პროექტის მიმართ საკრებულოს დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს:

მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N56 (17. 05.2013 წელი).

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, ირმა მგელაძემ. მან აღნიშნა, რომ პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთელ შემოქმედთა წახალისებას, ტრანსპორტირებას, კულტურულ საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსებას და სოც.კულტურული ღონისძიებების ორგანიზებას **თანხით 19005 ლარი.**

განკარგულების პროექტის მიმართ საკრებულოს დეპუტატების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 18 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N57 (17. 05.2013 წელი).

დღის წესრიგის მეთექვსმეტი საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის სპორტისა და ახალგაზრდულ ღონისძიებათა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, სოფიკო ჩხაიძემ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის 2013 წლის სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებათა პროგრამებში გათვალისწინებულია საჩუქრებისა და პრიზების შექმნა,

ახალგაზრდული ტურნირების მხარდაჭერა, სპორტსმენთა მხარდაჭერა, სხვადასხვა ღონისძიებებზე მოსწავლეთა და ახალგაზრდობის ტრანსპორტირება, ფილმების ჩვენებასთან დაკავშირებული მომსახურება, სპორტული და ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსება, „ევროპის თასი ჭიდაობაში-2013“ ორგანიზებისა და საპრიზო ფონდის თანადაფინანსება, სულ თანხით 23 995 ლარი.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, გოჩა ჯანაშიამ აღნიშნა, რომ ერთი თვის წინ სტამბულში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე კარატე „დო-ში“ წარმატებით გამოვიდნენ ლანჩხუთელი პატარები. მან დააყენა წინადადება აღნიშნულ სპორტსმენებს და მათ მწვრთნელს წახალისების მიზნით მიეცეს გარკვეული ფულადი ჯილდო, შევიდეს ცვლილება სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამაში და 2500 ლარი საჩუქრებისა და პრიზების პროგრამიდან გადატანილ იქნას სპორტსმენთა დახმარების პროგრამაში. მისივე განმარტებით აღნიშნული წინადადება მხარდაჭერილ იქნა კომისიის წევრების მიერ.

განკარგულების პროექტის მიმართ საკრებულოს დეპუტატების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ზვიად აფხაზავამ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს შენიშვნების გათვალისწინებით.

მომხრე 17 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი. (დეპუტატმა მარინე თურნავამ არ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა)

მიღებულ იქნა განკარგულება N58 (17 05.2013 წელი).

სხვადასხვა

1. დეპუტატმა ლევან ჩხაიძემ გააკეთა ინფორმაცია მუნიციპალიტეტში ხვნა-თესვასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ. აღნიშნა, რომ მოსახლეობაში ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად დარიგებული ვაუჩერები, რაც იწვევს მათ სამართლიან უკმაყოფილებას. მან ამ კუთხით დადებითად შეაფასა გვიმბალაურის ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულის საქმიანობა. ამასთანავე გამოთქვა უკმაყოფილება შ.პ.ს. „მექანიზატორის“ ზოგიერთი ტრაქტორისტის საქმიანობის შესახებ, რომლებიც ხელოვნურად აძვირებენ ხვნა-თესვასთან დაკავშირებული პროცესების ღირებულებას.

დეპუტატ ლევან ჩხაიძის მიერ დაყენებულ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ზვიად აფხაზავამ განმარტა, რომ იგი პირადად ელაპარაკა სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელობას და მიიღო გარანტია მუნიციპალიტეტში უახლოეს პერიოდში ვაუჩერების გარეშე დარჩენილი მოსახლეობის დაკმაყოფილების თაობაზე.

გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ზაზა ურუშაძემ მუნიციპალიტეტში ხვნა-თესვის მიმდინარეობის თაობაზე აღნიშნა, რომ იგი უშუალოდ არის ჩართული ხვნა-თესვის წარმართვის პროცესებში, აქვს ინფორმაცია, რომ არა უგვიანეს 2 დღისა 2200 ოჯახი იქნება დაკმაყოფილებული ვაუჩერით და კვლავ გაგრძელდება ვაუჩერიზაციის პროცესი. მან ასევე აღნიშნა, რომ თუ მას ექნება ინფორმაცია შ.პ.ს. „მექანიზატორის“ ზოგიერთი ტრაქტორისტის არაკეთილსინდისიერი საქმიანობის შესახებ, იგი აუცილებლად მიიღებს სათანადო ზომებს, თუმც ისიც გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ დახვნას და დადისკვას. მისივე განმარტებით ამჟამად მუნიციპალიტეტში მუშაობს შ.პ.ს. „მექანიზატორის“ 31 ერთეული ტრაქტორი და მუნიციპალიტეტის 28 ერთეული, მაგრამ სამუშაოები შეფერხებულია, ვინაიდან კლიმატური პირობებიდან გამომდინარე მიწა გამომშრალია და გაძნელებულია მისი დამუშავება.

გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ზაზა ურუშაძემ დააყენა წინადადება:

- სოფელ გრიგოლეთის ტერიტორიაზე გარე განათების დამონტაჟებისათვის თანხის მოძიების აუცილებლობის შესახებ
- სთხოვა საკრებულოს დეპუტატებს ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულებთან ერთად სოფლის პროგრამების შესრულების მიმდინარეობაში მონაწილეობა და ასევე განმარტა, რომ ამჟამად შეუძლებელია სოფლის პროგრამების შეცვლა, ვინაიდან სათანადო ოქმები უკვე დამტკიცებულია ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტროს მიერ. მანვე აღნიშნა, რომ არსებობს რეალური შესაძლებლობა დამატებით სოფლის პროგრამების დამტკიცებისა, სადაც მოსახლეობას ექნება საშუალება, იმ პრობლემატური საკითხის გათვალისწინებისა, რომელიც არ მოხვდა ამჟამად დამტკიცებულ პროგრამაში.

მან აღნიშნა იმ დიდი დახმარების შესახებ, რაც პრემიერ-მინისტრმა გაუწია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს. კერძოდ, გამოყოფილ იქნა 443 980 ლარი შუხუთი-აცანა-მამათის გზის რეაბილიტაციის თანადაფინანსებისათვის, რითაც შესაძლებელი გახდა პირვანდელი პროექტის განხორციელება, ასევე გამოიყო თანხა სტადიონის რეკონსტრუქციისათვის, უახლოეს პერიოდში 240 ოჯახის სახლის სახურავის გადახურვისათვის გამოიგზავნება სათანადო მასალა.

დეპუტატმა დალი კვერენჩილაძემ აღნიშნა, რომ მართალია გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ზაზა ურუშაძემ გარკვეული დახმარება გაუწია ჩოჩხათის სოფლის ექიმს, რომელსაც დაეწვა საცხოვრებელი სახლი, მაგრამ ამჟამად აუცილებელია მისთვის 1800 ცალი ბლოკის დროულად მიწოდება.

დეპუტატ დალი კვერენჩილაძის მიერ დაყენებულ საკითხთან დაკავშირებით გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ზაზა ურუშაძემ აღნიშნა, რომ იგი პირადად გაეცნო არსებულ მდგომარეობას, დაევალა სატყეო სამსახურს დაზარალებული ოჯახის 8 კბ.მ მასალით უზრუნველყოფა, გათვალისწინებულია ოჯახის ფინანსურად დახმარებაც. მაგრამ მუნიციპალიტეტი არსებული ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე ვერ აიღებს პასუხისმგებლობას სახლის მთლიანად აღდგენაზე, თუნდაც იმიტომ, რომ მსგავსი შემთხვევები არსებობს სხვა ტერიტორიულ ერთეულებშიც, კერძოდ, ამჟამად აკეთშიც, მით უმეტეს, რომ გამგეობის შესაბამისი სამსახურის მიერ წარმოდგენილი სახლის სრული აღდგენის ხარჯთაღრიცხვა შეადგენს სამაოდ სოლიდურ თანხას - 9500 ლარს.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე

ზვიად აფხაზავა

საკრებულოს აპარატის უფროსი:

ნინო ძიძიგური

თანაშემწე:

დონარა დოლიძე

საკრებულოს საოქმო და საქმისწარმოების

განყოფილების უფროსი :

მაია კეკელიძე